გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №12(194) 2019 წ. 16-30 ივნისი ფასი 1 ლარი

„გარეჯობა-2019“

ქართული სულის ზეიმი

XXI საუკუნის გარეჯულ მიწას (თუმცა არავინ იცის, რამდენი ათასწლეულებისაა ეს მიწა-წყალი) ამ საუკუნეში მეორედ ეღირსა ახმიანება, მეორედ აღინიშნა წმინდა დავით გარეჯელის ხსენების დღესთან დაკავშირებით სახალხო ზეიმი, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ერბოწონაშვილის თაოსნობითა და ორგანიზებით ჩაეყარა საფუძველი. ქართულ, კახურ ყაიდაზე მოწყობილი ფაცხები, საჩრდილობლები, ნახერხმოყრილი საჭიდაო არენა, სახელდახელოდ, მაგრამ გულდაგულ, გემოვნებით გაწყობილი სცენა ლამაზ სანახაობებს ჰპირდებოდნენ აქ მომსვლელთ.

სახალხო ზეიმს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნან საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში **ირაკლი ძადაგიშვილი**, საქართველოს პრემიერის მრჩეველი რეგიონული მართვის მიმართულების საკითხებში **სოზარ სუბარი**, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე **სოლომონ პავლიაშვილი**, საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები.

სახალხო ზეიმი ტრადიციულად დოღით დაიწყო, რომელშიც საგარეჯოელ მხედრებთან ერთად მონაწილეობდნენ ახმეტის, თბილისის საცხენოსნო კლუბების წარმომადგენლებიც.

მაყურებლის წინაშე ქართული ფოლკლორის მარგალიტები აჩვენეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა „სამამ“, „მზეკაბანმა“, „სინათლემ“, „ლაშქრულმა““. მაყურებელი კიდევ ერთხელ მოხიბლეს ანსამბლების„პატარა გარეჯელების“ და „მი-რე-ლა“-ს მომღერლებმა. სცენაზე მათთან ერთად სიმღერა შეასრულა კონკურს „რანინას“ გამარჯვებულმა, საბავშვო ევროვიზიაში საქართველოს წარმომადგენელმა გიორგი როსტიაშვილმა.

კონცერტში მონაწილეობდნენ ჩვენი საამაყო ახალგაზრდა მომღერალი, X ფაქტორის მონაწილე გიორგი ლაფაჩიშვილი, მომღერალი ირინა ბაირამაშვილი, ჯგუფი „გზები“, ანსამბლი „კამერტონი“,

დასასრული მე-2 გვ.

ცხელი ივნისი...

საზოგადოების გულწრფელი და სამართლიანი პროტესტი

20 ივნისს თბილისში მართლმადიდებელთა საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე განვითარებულმა მოვლენებმა სრულიად შეცვალა ქართველი ხალხის ინტერესი – საერთაშორისო თანამეგობრობისათვის, ფართო საზოგადოებისათვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია საქართველოს მოსახლეობისათვის ყველაზე მტკივნეულ პრობლემასთან დაკავშირებით – ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ოკუპანტი ქვეყნის – რუსეთის დუმის დეპუტატის სერგეი გავრილოვის, როგორც ასამბლეის ფორუმის თავმჯდომარის პოსტზე გამოჩენამ „ცეცხლზე ნავთის დასხმის“ ეფექტით ქართული საზოგადოების გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია. საქართველოს პარლამენტის წევრების შეჭრამ საპარლამენტო დარბაზში და იქიდან რუსეთის დეპუტატების გაძევებამ ვერ ჩაახშო საზოგადოების აღშფოთება და სულ რამდენიმე საათში პარლამენტის შენობის წინ ათასობით პატრიოტულად განწყობილმა ადამიანმა მოიყარა თავი, სადაც ოპოზიციის ლიდერებმა „ქულების დაწერა“... მაგრამ ოპოზიციური პარტიების მცდელობა – მოქალაქეების სამართლიანი პროტესტი გადაეზარდათ ძალადობაში, ქართველი ერის სამარცხვინოდ, ცუდი შედეგებით დასრულდა – დაშავდა ასობით ადამიანი, რომელთაგან პოლიციელბიც იყვნენ, დასახიჩრდნენ ჯანმრთელი ადამიანები.

„ეს არის უმძიმესი რამ, რაც ამ ქვეყანაში უკვე ათწლეულებია არ მომხდარა. მოხდა ჯგუფური თავდასხმები პოლიციაზე, პარლამენტის შენობაზე შეღწევის მიზნით და სამწუხაროდ, სიტუაცია დაიძაბა ისე, რომ პოლიცია იძულებული გახდა გამოეყენებინა სპეციალური საშუალებები, არალეტალური, რა თქმა უნდა... ჩვენ ვამზადებთ ყველაფერს და ყველაფერს გავხდით საჯაროს, როგორ ვითარდებოდა რუსაველზე მოვლენები... კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა ვთქვა, უდიდესი აღშფოთება გამოიწვია ჩემში იმან, რომ პოლიტიკოსებმა და პარტიების კონკრეტულმა წარმომადგენლებმა შეძლეს – მოქალაქეები და პოლიცია დაეპირისპირებინათ ერთმანეთთან,– ამბობს ***შინაგან საქმეთა მინისტრი* ბიორგი გახარია** – იქ, სადაც იყო გადამეტების კონკრეტული ფაქტი, რა თქმა უნდა, ჩვენ რეალურად შევისწავლით.

„ქართულმა საზოგადოებამ უნდა მიიღოს პასუხი ყველა კითხვაზე, ეს არის ჩვენი მიდგომა. ის რაც ჩვენ 20 ივნისს ვიხილეთ, იყო სრულიად მიუღებელი და გამოიწვია საზოგადოების სამართლიანი და გულწრფელი პროტესტი და ჩვენ ვუერთდებით ამ შეფასებას. სადამოს ვიხილეთ მოქალაქეების სამართლიანი და გუულწრფელი პროტესტი პარლამენტის წინ; სამწუხაროდ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ისე, როგორც მას და მის ლიდერს სჩვევია, გულწრფელი ემოციები პროვოკაციებისთვის გამოიყენა და ესეც ყველამ კარგად დაინახა. რასაკვირველია, შესაბამისი შეფასება უნდა მიეცეს პროვოკაციულ ქმედებებს და კითხვის ნიშნებს, ზოგიერთი სამართალდამცველის მხრიდან ძალის გამოყენებაზე. ეს არის იმ შეფასებების ჩარჩო, რომელიც მე მაქვს ამ საკითხებზე“ – ასე აფასებს 20 ივნისის მოვლენებს ***საქართველოს პრემიერ-მინისტრი* ირაკლი ბახტაძე.**

პარლამენტის წინ ქართული საზოგადოების პროტესტი 20 ივნისიდან გრძელდება. მათი მოთხოვნები – ჩატარდეს პროპორციული სისტემით არჩევნები, გადადგეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა და მომავალი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება პროპორციული სისტემით. რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის მიერ თანამდებობის დატოვებას, მან ეს მოთხოვნა შეასრულა, პარლამენტის თავმჯდომარედ კი არჩილ თალაკვაძე იქნა არჩეული.

ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება იმ ადამიანების ქმედებებზე, რომლებმაც მოუწოდეს საზოგადოებას და ორგანიზება გაუწიეს მშვიდობიანი აქციის ძალადობრივ აქციაში გარდაქმნისაკენ, პარლამენტის შტურმისა და პოლიციელების წინააღმდეგ. ასევე, დაისჯებიან ის პოლიციელები, რომლებმაც თავიანთ უფლებამოსილებებს გადააჭარბეს.

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი

25 ივნისი, 2019წ

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე მუნიციპალიტეტის ***მერის მოადგილეები ლექსო გილაშვილი და შოთა კაკაბაძე*** უძღვებოდნენ. თათბირს ესწრებოდნენ მერიის სამსახურების უფროსები, განყოფილების გამგეები, მერის წარმომადგენლები ტერიტორიულ ორგანოებში.

დღის წესრიგის №1 საკითხად იქცა თემში შემავალ სოფლებსა და ცალკეულ სოფლებში სასმელი წყლის დეფიციტი, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში მოსახლეობის მიერ უყაირათოდ ხარჯვის, გაუფრთხილებლობის მიზეზია. არის რიგი შემთხვევები, როცა სასმელი წყლის სისტემა მოითხოვს კაპირტალურ რემონტს, გასაწმენდია წყლის სათავე ნაგებობები. აღინიშნა ისიც, რომ მერის წარმომადგენლებს სადამსჯელო ღონისძიებების გატარებისათვის შესაბამისი დოკუმენტები არ უპყრიათ ხელთ. მწვავე საუბარი იყო სოფელ დიდი ჩაილურის მოსახლეობისათვის და მანავის თემის ბურდიანის მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების თაობაზე. აღნიშნული სოფლების მოსახლეობა ერთი სათავიდან იღებს წყალს, მაგრამ სასმელი წყალი დიდი ჩაილურის მოსახლეობამდე ვეღარ აღწევს, რადგან ბურდიანის მოსახლეობისათვის განკუთვნილი 1 ონკანის ნაცვლად იქ უკვე 10-ზე მეტი სასმელი წყლის ონკანი ფიქსირდება. მერის წარმომადგენლის სოფელ დიდ ჩაილურში ნიკა მემარნიშვილის განმარტებით წყალსადენი 1953 წელს ე.წ. „ტყემლიანიდან“ დიდი ჩაილურის მოსახლეობის მიერ იქნა ფიზიკური და წილობრივი მონაწილეობით გამოყვანილი მხოლოდ ერთი პირობით – „ბურდიანელებს“ მხოლოდ 1 საუბნო ონკანი გადაეცემოდათ. წლების განმავლობაში ასე იყო, ახლა კი დიდჩაილურელებს წყალი აღარ აქვთ, რის გამოც მოსახლეობა გულისწყრომას გამოთქვამს – მათ სასმელი წყლის მოტანა უკვე ტრანსპორტის საშუალებით უხდებათ.

თათბირზე სასმელ წყალთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრეს მერის წარმომადგენლებმა სოფლების – ნინოწმინდის, სათაფლის, პატარძეულის, ხაშმის, უჯარმის, გომბორის, თულარის.

თათბირზე აღნიშნული პრობლემების შესწავლა და მეყვსეული ღონისძიებების გატარება დაევალა მერიის ინფრასტრუქტურის და მშენებლობის განყოფილების უფროსს ბექა ფეიქრიშვილს და ზედამხედველობის განყოფილებას.

თათბირზე მერის მოადგილემ ლექსო გილაშვილმა, ასევე დაწვრილებით გამოიკითხა პროგრამა „სოფლის მხარდაჭერისათვის“ ცალკეულ სოფლებში მიმდინარე და უკვე დამთავრებული პროექტები, ჩაინიშნა მთელი რიგი საკითხები და კონკრეტული დავალება მიეცა მერიის იურიდიული სამსახურის უფროსს კახაბერ მარგებაძეს ამ პროექტების განხორციელებაში მონაწილე სამშენებლო ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების გადახედვისა და პროექტის დამთავრების ვადაგადაცილებაზე შესაბამისი ზომების გატარებისათვის.

„გარეჯობა-2019“ ქართული სულის ზეიმი

დასასრული

ქართული ესტრადის ვარსკვლავები – ანრი ჯოხაძე, ნინი ბადურაშვილი, ნინი შერმადინი, ანი დოიაშვილი, ნინია მეტრეველი.

სცენიდან დამსწრე საზოგადოებას და სრულიად საქართველოს „გარეჯობა“ მიულოცეს ბატონებმა – გიორგი ერბოწონაშვილმა, ირაკლი ქადაგიშვილმა, სულიკო პავლიაშვილმა, სოზარ სუბარმა, პარლამენტარმა რომან

მუჩიაშვილმა.. როგორც საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა კახეთის მხარეში ირაკლი ქადაგიშვილმა მისასალმებელი სიტყვის წარმოთქმისას აღნიშნა, : „მისასალმებელია ისეთი ღონისძიების ახლიდან აღორძინება, როგორიც „გარეჯობაა“. დღეს აქ უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, რათა არ დაივიწყონ ტრადიციები... გამოვთქვამ იმედს, რომ გაისად საგარეჯოდან დავით გარეჯის ლავრამდე ახალი, რეაბილიტირებული გზა მოგვიყვანს“.

საზეიმო კონცერტის დასასრულს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა გასული წლის ტრადიციად აღთქმული დაპირება შეასრულა და საგარეჯოს 5 მოქალაქეს დამსახურებისდა მიხედვით „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდება“ მიანიჭა და სპეციალური პრიზები გადასცა. აი,ისინიც:

ქ-ნი **ცისანა ცხვედიანი** – ***კინორეჟისორი;***

ქ-ნი **ლამარა გოდერძიშვილი** – ***60 წლის პედაგოგიური მოღვაწეობის სტაჟის მქონე, 89 წლის.***

ქ-ნი **ნანა კოხტაშვილს** – ***სოფელ უდაბნოს ოჯახის ექიმს;***

ბ-ნ **დავით ტიგინაშვილს** – ***პოეტს, არაერთი ლექსთა კრებულის ავტორს;***

ბ-ნ **დავით როსტომაშვილს** – ***მსახიობს.***

კონცერტის პარალელურად ქართულ ჭიდაობაში ერთმანეთის შესაძლებლობებს სცდიდნენ გარეჯელი მოჭიდავეები. გამარჯვებულისთვის დაწესებული პრიზი – ჭედილა საგარეჯოელ **სიმონ მამარდაშვილს** ხვდა წილად.

დოღში პირველობა არავის დაუთმო უდაბნოს საჯარო სკოლის მეათეკლასელმა **მახო გულბანმა.**

ქართული ჭიდაობა

უდაბნოს ნახერხმოყრილ ღია მოედანზე

„გარეჯობა-2019“ სახალხო დღესასწაული კიდევ უფრო დაამშვენა ღია, ნახერხმოყრილ მოედანზე აიპ „საგარეჯოს „მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ და მუნიციპალიტეტის მერიის თაოსნობით გამართულმა ასპარეზობამ ქართულ ჭიდაობასა და აბსოლუტურ ფალავნობაში. ამ ღონისძიებების ჩასატარებლად უდაბნოში ჩამოვიდნენ აღნიშნული სპორტგაერთიანების მესვეურები: ტარიელ როსტომაშვილი, ზაზა ლაფერიშვილი, ქართული ჭიდაობის სპეციალისტი ზვიად შათირიშვილი, პატარძეულის სექციის მწვრთნელი ტრისტან სუხაშვილი (ასპარეზობის მთავარი მსაჯი) და მთავარი სპეციალისტი თემურ კურდღელაშვილი (შუამავალი მსაჯი).

პატარების ასაკში ასპარეზობა სამ წონით კატეგორიაში ჩატარდა, სადაც 45 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა უდაბნოს საჭიდაო სექციის აღსაზრდელი ლუკა თამლიანი. მომდევნო მეორე ადგილზე გავიდა მიხეილ ყორღანაშვილი, მესამეზე – სოსო მელაშვილი (ორივე საგარეჯო).

თენგო მაისაშვილი გამარჯვებული გახდა 50 კგ წონით კატეგორიაში. გიგა მესტვირიშვილი – მეორე ადგილზე, ლექსო ზუკაკიშვილი კი III ადგილზე გავიდა ამ წონაში (სამივე საგარეჯო).

60 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა საგარეჯოელმა სოსო დურიშვილმა, უდაბნოელებმა ცოტნე იოსელიანმა და ბექა მარგველანმა კი, შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს. ყველა გამარჯვებულ მოჭიდავეს გადაეცა აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ შესაბამისი სიგელები.

უფრო საინტერესოდ წარიმართა ჭიდაობა აბსოლუტურ ფალავნობაში, სადაც შეჯიბრების ორგანიზატორების მიერ ჯილდოდ დაწესებული იყო ჭედილა. ამ შეჯიბრებაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ საგარეჯოელი, უდაბნოელი და სახალხო ზეიმში მონაწილე სხვა ახალგაზრდები, სულ 11 მოჭიდავე. მათგან ფინალში გავიდნენ და ერთმანეთს დაუპირისპირდნენ უდაბნოელი გიორგი ხორგუანი და საგარეჯოელი სიმონ მამარდაშვილი. აქ, როგორც მოსალოდნელი იყო, იმარჯვა უფრო გამოცდილმა და ტიტულოვანმა საგარეჯოელმა მოჭიდავემ და გამარჯვებასთან ერთად გახდა ჭედილას მფლობელი.

ქართულ ჭიდაობაში გამართული ასპარეზობა ნამდვილად გაალამაზა უმცროსი ასაკის ბავშვების ჭიდაობამ, რომელთა მიერ ვირტუოზულად შესრულებულმა ილეთებმა, შემართულმა ჭიდაობამ კიდევ ერთხელ დიდი იმედი ჩაგვისახა იმისა, რომ არც ქართველობას და არც მის ეროვნულ საუნჯეებს გადაშენება არ უწერიათ.

გივი დაბახიშვილი

„ჰეი, ვინ მოდის, მანდ, მომავლიდან?“

დაიმახსოვრეთ ამ ბიჭის სახელი _ ნიკოლოზ ცხვარიაშვილი



ეს პატარა, მაგრამ დიდი გულის ბიჭი, ახლა რომ დამდგარა ჩიჩხიტურის კოშკისა და გარეჯის ლამაზი ხედების ფონზე, მართლაც პატარა არ გეგონოთ. ის ერთ-ერთი პერსპექტიული ნინოწმინდელი მოჭიდავის გუგა მღებრიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირის პრიზიორია, რომელიც სულ ახლახანს ჩატარდა. პატარა, ვთქვით, მაგრამ დიდი მომავლის პატარძეულელი ნიკოლოზ ცხვარიაშვილი ჯერ 6 წლისაა, წელს პატარძეულის საბავშვო ბაღიდან (მენეჯერი ეკა ახვერდაშვილი) სკოლაში მიდის. დიდი პაპის, პატარძეულელებისათვის საყვარელი ვეტერინარის ნიკო ცხვარიაშვილის შვილთაშვილი, საგარეჯოს რაიონული საავადმყოფოს ყოფილი მთავარი ექიმის თამაზ ცხვარიაშვილის შვილიშვილი კიდევ ერთხელ ახსენებს საგარეჯოს რაიონს, ვინ არის, საიდან მოდის და როგორი ფესვები აქვს.

მე და ნიკოლოზმა ერთმანეთი „გარეჯობა-2019“-ზე გავიცანით. თავის მწვრთნელ ვანო კოტორაშვილთან და თანაგუნდელ პატარძეულელ, პატარა ძიუდოისტებთან ერთად ლამაზად, ვაჟკაცურად ჩამომსხდარიყვნენ თივის შეკვრებზე („პრესებზე“) და ინტერესით ათვალიერებდნენ გარეჯის მთა-გორებს. ცოტა არ იყოს, შევიცხადე, „ასეთი პატარები როგორ ინდე და წამოიყვანე-მეთქი“ – ახლადგაცნობილ მწვრთნელს ვეკითხები.

– როგორ, ამათ უნდა ნახონ რა გვაქვს, რა სიმდიდრის პატრონები ვართ, გაიცნონ აწმყო და დაინტერესდნენ წარსულით, – *მეუბნება ვანო,* – ამათ ასე ნუ უყურებთ, მხოლოდ ასაკითა და სიმაღლით, იცით, აი, ეს ბიჭი – ნიკოლოზ ცხვარიაშვილი უკვე ჩემპიონია, თანაც თავისზე 3 წლით უფროსებთან ვაჭიდავეთ, – *თავმომწონედ მეუბნება ვანო და რადაცნაირი სითბოთი გაჯერებული მზრუნველობით აღსაზრდელი ჩრდილში შემოჰყავს, მეორეს მზის ქუდს უსწორებს* – ახლა ქართულ ჭიდაობას უყურებენ, ნახავენ, რომ „გარეჯობა“ და საერთოდ ჩვენი სადღესასწაულო ზეიმი ქართული ჭიდაობის გარეშე არ ჩაივლის. თვალყურს მიადევნებენ დოღს, მოუსმენენ, საკუთარი თვალით ნახავენ ჩვენი რაიონის მომღერალ-მოცეკვავე მომავალ თაობას, გაიცნობენ ერთმანეთს და ბევრი მეგობარი ეყოლებათ.

რაც შეეხება ნიკოლოზს. გაოცებული უყურებთ და მეკითხებით, ამ პატარა, „ერთი ბეწო“ ბიჭმა რა უნდა იჭიდაოსო?! მე არ ვიცი, თქვენ როგორ ხართ ჭიდაობასთან, მაგრამ იცით, როგორი ცეცხლი გიზგიზებს მასში? – ქართული და ვაჟაცური, კაცური... შეამოწმოს სპეციალისტმა და მიხვდება – არის ენერგიული, არ იცის დაღლა, აქვს ძალა, სისწრაფე, მოქნილობა, გამძლეობა, სიმარჯვე. ჩამოგითვალეთ ყველა ის თვისება, რაც მოჭიდავეს უნდა ჰქონდეს, აქვს და მერე როგორი?! მამამისმა – გიორგი ცხვარიაშვილმა მომიყვანა საბავშვო ბაღიდან ერთი წლის წინ. ერთ წელში იმდენი რამ კარგი „აკრიფა“, სხვა 3 წელშიც რომ ვერ შეძლებდა...

ნიკოლოზი ცნობისმოყვარე თვალებით შემომყურებს, რადაცნაირად მზით გამთბარი თვალები აქვს, აი შიგნიდან, სულის პატარა კუნჭულებიდან რომ სხივებად, ვარსკვლავებად გამოდის და ამ პატარა ბიჭის სულიერ სამყაროს გიშლის – ძალიან კაცურს, ქართულს, კახური სიდინჯით, მორიდებითაც და სიყვარულითაც...

სურათის გადაღებას ვთხოვ, მთანხმდება და ისეთ ადგილას დგება, რომლის მეცხოვნეობაც უკვე ჯერ კიდევ 5 წლისამ დაიწყო.

დაიმახსოვრეთ – პატარძეულელი ჯერ პატარა კაცი!... მომავალი არსენ მეკოკიშვილი და მომავალი ლევან თედიაშვილი, მაგრამ მაინც ნიკოლოზ ცხვარიაშვილი.

გზას დაგილოცავ, ჩემო პატარა მეგობარო, გზას, რომელმაც საქართველოს სახელიც და შენც მსოფლიო სპორტის არენისკენ წარმატებით უნდა გაგიყვანოს.

თინა ილაური

სასკოლო ცხოვრება

პროექტ „საჯარო სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლების გაძლიერების“ ფარგლებში

გაიმარჯვა მეგობრობამ

როგორც ცნობილია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივითა და ხელშეწყობით ქვეყნის საჯარო სკოლებში ტარდება პროექტი “ საჯარო სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლების გაძლიერების ხელშეწყობის ღონისძიების შესახებ“. 7 ივნისს ამ პროექტის ფარგლებში საგარეჯოს №1 საჯარო სკოლაში, სკოლის დირექტორის ლელა ფანოზიშვილის და ადმინისტრაციის ხელშეწყობით, სკოლის მოსწავლეთა მიერ საგარეჯოს ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა შიდა შემაჯამებელი ფესტივალი. ფესტივალი მიზნად ისახავდა სკოლის მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის კიდევ უფრო პოპულარიზაციასა და დამკვიდრებას. ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ სკოლის ბაზაზე არსებული სპოტული კლუბის „პირველების“ წევრები და მესამე კლასების მოსწავლეები, მათი მშობლები და მანდატურები. ფესტივალზე მოსწავლეებმა წარმოაჩინეს სპორტის სხვადასხვა სახეობაში დაგროვილი თავიანთი ცოდნა და გამოცდილება. ფესტივალი გაფორმებული იყო მუსიკალურად და საცეკვაო ნომრებით.

ღონისძიებას განსაკუთრებული ელფერი შესძინა ანსამბლ „სამას“ (ხელმძღვანელი ნათია ალფაიძე) წევრების მიერ შესრულებულმა ცეკვებმა.

ფესტივალს ორგანიზებას უწევდნენ პედაგოგები ოთო დევდარიანი, ლალი ქაიხოსროშვილი, იამზე თედიაშვილი, ირაკლი კოხტაშვილი, რამაზ ასაბაშვილი.

იმის გამო, რომ შეხვედრა საფესტივალო და საჩვენებელი ხასიათის გახლდათ, მისი ორგანიზატორების გადაწყვეტილებით – არ დათვლილა არც ქულები და არც წაგებულ-გამარჯვებულნი გამოუვლენიათ, რომ არც ერთი ბავშვი გულდაწყვეტილი არ წასულიყო სახლში. მიუხედავად ამისა, მონაწილეები შეეცადნენ წარმოეჩინათ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმი, ბოლოს კი მაინც მეგობრობამ გაიმარჯვა.

ფესტივალს, რომელმაც მაღალორგანიზებულ დონეზე ჩაიარა, ესწრებოდნენ ადგილობრივი და მოწვეული სტუმრები, საგარეჯოს საგანამანათლებლო რესურს ცენტრის ხელმძღვანელი მანანა ცუცქირიძე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ექსპერტი გიორგი ბეგიაშვილი და მისი ჯგუფის უცვლელი წევრი მევლუდ ლაშაური.

გ. დაბახიშვილი

ივნისი ჩვენს მუნიციპალიტეტში „რეზოობა“ ხაშმში



რევაზ ინანიშვილის მშობლიურ სოფელ ხაშმში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიისა და კულტურის ობიექტების გაერთიანების ორგანიზებით მწერლის ხსოვნისადმი მიძღვნილი ,ტრადიციული დღესასწაული- ”რეზოობა” აღინიშნა.

სულის მოსახსენიებელი პანაშვიდის აღსრულების შემდეგ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები-ალექსი გილაშვილი და შოთა კაკაბაძე, მწერალთა კავშირის წევრებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან და სხვა სტუმრებთან ერთად სოფელ ხაშმის-რევაზ ინანიშვილის სახელობის საჯარო სკოლის ეზოში შეიკრიბნენ, სადაც დიდი მწერლის ცხოვრების არაერთი ეპიზოდი გაიხსენეს, ისაუბრეს მის შემოქმედებასა და მოღვაწეობაზე.

ღონისძიებაზე ადგილობრივი ანსამბლები და ბავშვთა თეატრის მსახიობები მაყურებლის წინაშე რამდენიმე ნომრით წარსდგნენ.

დაჯილდოვდნენ კონკურსში გამარჯვებულები

16 ივნისს, სოფელ ხაშმის საჯარო სკოლის ეზოში გამართულ ღონისძიებაზე „რეზოობა“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსმა **არჩილ ჯაბადარმა** აღნიშნულ ღონისძიებაზე, ლიტერატურულ კონკურსში - “მირანდუხტი” გამარჯვებულ სამ მონაწილეს - ნინი ბუზარიაშვილს, ნუცა გაგნიაშვილს და ეთო ცხვარიაშვილს წარჩინების სიგელი და ფულადი ჯილდო გადსცა.

პროექტს „ცოცხალი წიგნები - 2019” საგარეჯოს მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა

2019 წელს, საქართველოს განმანათლებლის, მოციქულთა სწორის, წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლის 1700 - წლისთავი სრულდება.

ამ თარიღთან დაკავშირებით, „ცოცხალი წიგნების“ ავტორებიდან შეირჩა ოთხი ჯგუფი - 20 პოეტი ქალბატონის შემადგენლობით, რომლებმაც „წმინდა ნინოს გზით“ ყველა იმ ადგილს სტუმრობენ, სადაც წმ.ნინო მოღვაწეობდა და ქრისტიანობას ქადაგებდა.

აღნიშნული მსვლელობის ფარგლებში, პოეტებმა სოფ, ნინოწმინდაში, წმინდა ნინოს ტაძრის ეზოში, ღია ცის ქვეშ შეხვედრა გამართეს.

თანამედროვე შემოქმედები - მარიამ წიკლაური, ეთერ თათარაიძე, მანანა ჩიტიშვილი, ელზა გოჩიაშვილი, რუსუდან კაიშაური, მანონი ბულისკერია, პროექტის ხელმძღვანელთან ქეთევან დუმბაძესთან ერთად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. ნინოწმინდას სტუმრობდნენ.

მათ ლიტერატურის მოყვარულებს საკუთარი შემოქმედება გააცნეს. ისაუბრეს წმ.ნინოს სამისიონერო ღვაწლზე და საზოგადოდ ქრისტიანობის დამოკიდებულებაზე-სიტყვიერებისა მწიგნობრობის მიმართ, მათ შორის პოეტური სიტყვის მნიშვნელობაზე.

შეხვედრას ***მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსი არჩილ ჯაბადარი,*** ამავე სამსახურის თანამშრომლები, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლები, სოფ. ნინოწმინდის საჯარო სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები და პოეზიის მოყვარულები ესწრებოდნენ.

საანგარიშო კონცერტი

60 წელი ბავშვებთან ერთად

დაფასებული ღვაწლი

ათწლეულობით დამკვიდრებულმა ტრადიციამ კვლავ ერთად შეკრიბა მუსიკის მოყვარული საგარეჯოს საზოგადოება. აიპ „საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლის“ საკონცერტო დარბაზში, სადაც მსმენელის წინაშე საანგარიშო კონცერტით წარდგნენ მოსწავლეები და პედაგოგები. ღონისძიებას ესწრებოდნენ ***მუნიციპალიტეტის მერი*** **გიორგი ერბოწონაშვილი**, ***მერის მოადგილე*** **ალექსი გილაშვილი**, ***საქართველოს პარლამენტში საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატი*** **რომან მუჩიაშვილი**, ***საკრებულოს თავმჯდომარე*** **ოთარ ჩალათაშვილი**, ***კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორი*** **ბესიკ ღვინაშვილი**, ***მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსი*** **არჩილ ჯაბადარი** და მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს წარმომადგენლები. ეს კონცერტი განსაკუთრებული იყო ერთი ნიშნითაც – სამუსიკო სკოლის დამსახურებულ პედაგოგს ქ-ნ ნელი ყანჩაშვილს მოღვაწეობის 60 წლის იუბილესთან იყო დაკავშირებული. სასიამოვნო და სასიხარულო იყო ის ფაქტი, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერისგან გიორგი ერბოწონაშვილისგან ქ-ნ ნელის მადლობის სიგელი გადაეცა. ასევე, კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორმა ამავე გაერთიანების სახელით მას დიპლომი და ფასიანი საჩუქარი გადასცა. სკოლის დირექტორმა ლია ბურჯანაძემ ქ-ნ ნელის გამოუცხადა მადლობა და გადასცა ფასიანი საჩუქარი ახალგაზრდა თაობის აღზრდასა და ჩამოყალიბებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

სცენაზე გამოჩნდა ქ-ნ ნელის შვილიშვილი, ამავე სკოლის პედაგოგი ნელიკო ოტიაშვილი, რომელმაც სიყვარულის და სიხარულის ცრემლნარევი ხმით მიულოცა ბებიას მოღვაწეობის 60 წელი.

ქ-ნი ნელი 60 წლის მანძილზე სამუსიკო სკოლის პედაგოგობასთან ერთად, გარკვეული წლების განმავლობაში სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობდა. მისი მოსწავლეები ყოველთვის იმარჯვებდნენ როგორც ზონალურ, ასევე რესპუბლიკურ კონკურსებში, რისთვისაც მიღებული აქვს უამრავი დიპლომი და მადლობა. დღეს მისი ნამოწაფრები ამავე სკოლის პედაგოგები არიან, ზოგი კი საქართველოს სხვადასხვა ადგილას მოღვაწეობს. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი სპეციალობის მიმართ დიდი სიყვარულით და მაღალი პროფესიონალიზმით, სწორედ ამიტომაცაა, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტია უყვართ და პატივს სცემენ, როგორც მისი კოლეგები, ასევე მოსწავლეები და მათი მშობლები.

იგი დღესაც ჩვეული ენერგიით განაგრძობს მუშაობას. გვინდა ვუსურვოთ დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა და გამძლეობა.

საანგარიშო კონცერტი გახსნა სამუსიკო სკოლის პედაგოგთა ანსამბლმა „მელოდიამ“ (ხელმძღვანელი ლ. ბურჯანაძე) სიმღერით „ვარდობის თვე“ – მუსიკა ჯემალ ბურჯანაძის, რომელიც ავტორმა მიუძღვნა ქ-ნ ნელი ყანჩაშვილს.

კონცერტი წაიყვანა სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ თეა ხატიაშვილმა. შესრულდა როგორც ქართველი, ასევე სხვადასხვა ქვეყნის კომპოზიტორთა ნაწარმოებები. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ პედაგოგების: თ. ხატიაშვილის, ნ. ყანჩაშვილის, მ. ჯაფარიძის, დ. ბურჯანაძის, ნ. ოსიეიმიშვილის, ლ. ნაცვლიშვილის, ე. გოგიშვილის და ე. ხიპაშვილის მოსწავლეები.

კონცერტში მონაწილეობა მიიღო სკოლის გუნდმა ლალი სომხიშვილის ხელმძღვანელობით. ასევე, სკოლასთან არსებულმა საესტრადო ვოკალის სტუდია „კამერტონმა“ თეა ხატიაშვილის ხელმძღვანელობით და სკოლასთან არსებულმა ფოლკლორულმა სტუდიამ თემურ აროშვილის ხელმძღვანელობით.

ბოლო ნომრად დირექტორმა და სასწავლო ნაწილის გამგემ შეასრულეს ჯემალ ბურჯანაძის მიერ დამუშავებული ქართული ხალხური ცეკვების პოპური, რამაც მაყურებელთა აღფრთოვანება გამოიწვია.

კონცერტის დასასრულს ქ-ნმა ლია ბურჯანაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისთვის და მონაწილე ბავშვებს სიგელები გადასცა.

კვლავაც წარმატებით ევლოთ საგარეჯოს სამუსიკო სკოლის ამაგდარ, შემოქმედ პედაგოგებს.

ახლო წარსულიდან

ქალბატონი, რომლის დილაც საქართველოზე ლოცვით იწყება

„ხალხის სიყვარული მაცოცხლებს“

1930 წელს დაიბადა.

1937 წლის რეპრესიების სიმწარემ სწორედ მის თვალწინ, მისი ბავშვობის წლებში გადაიარა... გადაიარაო, ვამბობთ, ადვილი წარმოსადგენი არ არის, რა იქნებოდა მაშინ 7 წლის ბავშვისათვის – უფროსების განცდები, ერთმანეთის მიმართ უნდობლობა, საყვარელი, სისხლით ნათესავების ოჯახების გამწარება...

დიახ, ვინ თუ არა, მან – ათასგვარ ჭირვარამმნახველმა, უამრავისთვის სიყვარულის მიმნიჭებელმა, ყველაზე კარგად იცის სიცოცხლის, სიყვარულის, სიკეთის, გულწრფელობის, სიალალის, ურთიერთგატანის, მხარში დგომის, თანაგრძნობისა და თანალმობის ფასი... ამიტომაც არის მასში თავმოყრილი ყველა ის თვისება, რაც დადებითია, რაც პოზიტიურია, რაც ცხოვრებას უადვილებს მეზობლებს, ახლობლებს, მოკეთეებსა და თვით ყოველივე დადებითი თვისებებისგან დაცლილ ადამიანებს.

ქ-ნი **ლამარა გოდერძიშვილი**... საგარეჯოელი, რომლის სახელის ხსენება დღეს საგარეჯოელებს საამაყოდ და სამაგალითოდ აქვთ, სამაგალითოდ, ეტალონად – თუ როგორი უნდა იყოს ქართველი ქალი, დედა, მეუღლე, კოლეგა, თანაქალაქელი...

თბილისის მაშინდელი ალექსანდრე პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ საგარეჯოს რაიკავშირის ბუღალტერიაში დაიწყო მუშაობა, შემდეგ საგარეჯოს რაიკომის ინსტრუქტორად, შემდეგ კი დაწყებითი კლასების მასწავლებლად. მალე საგარეჯოს საბავშო ბაღის აღმზრდელი და შემდეგ საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღის გამგეა.

65 წელი სამუშაო სტაჟი...

აქედან 50 წელი პედაგოგიური მოღვაწეობის. ეს ის 50 წელია, როცა საგარეჯოელი ქალები ცდილობდნენ მასთან დაახლოებას, მის გვერდით ყოფნას, როგორც მეგობრობის ეტალონის, როგორც განუმეორებელ პიროვნებასთან ურთიერთობას. ამ ხნის მანძილზე დიდი სიყვარული, პატივისცემა დაიმსახურა საგარეჯოელი ინტელიგენციის, აღსაზრდელთა და აღზრდილთა მშობლების მხრიდან.

ქ-ნი ლამარას მეუღლე გოგი როსტიაშვილი საგარეჯოს რაიონის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგების ხელმძღვანელ პოსტებზე მუშაობდა. ორ შვილთან – როსტომთან და მარინასთან ერთად ისინი საგარეჯოელთა სიყვარულსა და სიკეთის კეთებაში ქმნიდნენ საოჯახო ბიოგრაფიას და არცთუ ურიგოდ... დღეს ორივე შვილს საკუთარი, ულამაზესი ოჯახები აქვთ, – მარინა ექიმია, როსტომმა კი ჩვენთვის განსხვავებული საოჯახო მეურნეობა შექმნა, რომლის შესახებაც მალე, ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში გვექნება საუბარი...

ჩვენ დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს – ძალიან, ძალიან მყარი 40 წელი. თუმცა ადრეც შორიდან ვიცნობდით ერთმანეთს. წლები ერთ ქუჩაზე ვხვდებოდით თითქმის ყოველ დღე. ჩემს ქუჩაზე ის სამსახურში მიმავალი და მეც სამსახურში მიმავალი, შუა ადგილი ჩემი საცხოვრებელი სახლი იყო. ყოველ დღე ვხვდებოდით ხოლმე, ხოდა ყოველ დღე ისე ვხვდებოდით ერთმანეთს, თითქოს სკოლის ამხანაგები ვყოფილიყავით – სიხარულით და ნახვის მონატრებით. თუმცა მისდამი მოკრძალება დღესაც მაქვს... წლებია, ისე ხშირად ვეღარ ვხედავთ ერთმანეთს, მაგრამ ხან შვილი გადმომცემს კეთილ სურვილებს, ხან ჩვენი დამაკავშირებელი, საბავშვო ბაღში მისი შემცვლელი, მისი „გამოზრდილი“, საგარეჯოს მშვენება ქ-ნი თამარ გოცირიძე. და აი, ახლა, „გარეჯობაზე“ შვილებით, შვილიშვილების ამალით მომავალი, ისევ ისეთი მოკრძალებული, მოსიყვარულე თბილი ღიმილითა და მოკითხვით. მივხვდი, და ჩვენი გაზეთის მკითხველი, დამეთანხმებით, რომ ქ-ნი ლამარა ამ ჯილდოს 65 წელზე მეტია ატარებს, თუმცა იქნებ უფრო მეტიც?! გაისად მას დაბადებიდან 90 წელი უსრულდება.

თივის შეკვრაზე ჩამოვსხედით და ვსაუბრობთ.

– რა ლამაზია ყველაფერი, როგორ უბრუნდება სიცოცხლე უდაბნოს, როგორ უხდება ახლადგაშენებული, მოვლილი ნუშის ხეები. ასე არ სჯობია?! ავაშენოთ, გავალამაზოთ ჩვენი კუთხე, ჩვენი მამული. რატომ ვწამლავთ ერთმანეთს ჩვენი აგრესიით, ჩვენი მწარე სიტყვებით?! მოვეფეროთ ერთურთს, გავულამაზოთ ცხოვრება, შევუმსუბუქოთ ყოფა. თუ ვინმეს წარმატება გავიგე, ის დღე როგორც უნდა ყინვიანი, პირქუში იყოს, ჩემთვის თბება და მზიანი ხდება. თუ ვინმეს ცუდი ადამიანობა გავიგე, ის დღე ჩემთვის უფერული და უღიმღამოა. ურთიერთშორის სიტკბო და სიკეთე დავთესოთ, გვიყვარდეს ერთმანეთი. გათენდება დღე და მადლობას ვეუბნები უფალს – 2 შვილი, 4 შვილიშვილი და ჯერ-ჯერობით 5 შვილთაშვილი მყავს. ყოველ დილას ვლოცულობ ჩემი საგარეჯოსათვის, ჩემი საგარეჯოელებისთვის, ჩემი საქართველოსათვის – დაწყნარდეს, დამშვიდდეს ცხოვრება, ყველა ბედნიერი იყოს, ყველა ქართველი საქართველოს ცის ქვეშ იღვიძებდეს.

ჩემმა თაობამ დიდი გაჭირვება გამოიარა, სკოლის მოსწავლეები ვიყავით ომი რომ მძვინვარებდა. ომში დაჭრილი საბჭოთა ჯარისკაცებისათვის სამკურნალო ბალახს – კაპუეტას ვაგროვებდით აქ, უდაბნოში. ამ საქმეს ჩემი კლასელი მედიკო მეზვრიშვილი ჩაუდგა სათავეში და ზაფხულის ცხელ დღეებში აქ სამუშაოდ მოვდიოდით. გვეგონა ჩვენი მოგროვილი ბალახი თუნდაც ერთ დაჭრილ ჯარისკაცს მოურჩენდა ჭრილობას. დღეს კი ამ მიწა-წყლის დაცვას გვავალებს უფალი. ეს „გარეჯობაც“ ქართული სულის უკვდავების გამოვლინებაა, ჩემს მიერ გავლილი გზის გადახედვა-გადათვალიერება იყო. არ არის პატარა საქმე. მინდა გაზეთის ფურცლებიდან მადლობა გადავუხადო ჩვენი რაიონის ახალგაზრდა, კეთილად მოაზროვნე, ახალ სიძნელეებს შეჭიდებულ ხელმძღვანელებს – გიორგი ერბოწონაშვილს, ლექსო გილაშვილს, შოთა კაკაბაძეს, მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსს არჩილ ჯაბადარს. მათ, ვიცი, არ შეეშლებათ არაფერი არც უფროს თაობასთან, და არც მომავალთან. წარმატებებს ვუსურვებ. და ვუსურვებ იმ სიყვარულით ეკლოთ თავიანთი ცხოვრების გზაზე, რაც უკვე დაიმსახურეს თავიანთი ადამიანობით.

ქ-ნი ლამარა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა მოკრძალებით და პატივისცემით მიიწვია სცენაზე და საგარეჯოს საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭება საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა სახელით დიდი სიყვარულით მიულოცა იმავე ბაღის და ლამარა გამგის ყოფილმა აღზრდილმა. ამ ჯილდოს საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღის თანამშრომლები ოვაციებით შეხვდნენ, სიყვარულით გამთბარი შეძახილებით ამხნევებდნენ უხერხულობისგან მორცხვად მდგარ ამაგდარ ადამიანს, რომელმაც საგარეჯოელები და საქართველო სცენიდან წრფელი გულით, მისეული სითბოთი დალოცა...

ქალბატონი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის რაიონის კულტურის განვითარებაში

„ეხლაც მაქვს სურვილი ისეთივე ენერგიით ვიმუშაო“

არიან ადამიანები, რომელთაც თავიანთი ცხოვრების წესით მხოლოდ საკუთარი ოჯახისა და საახლობლოს კოლორიტები არ ხდებიან, მისდამი ინტერესი, სიყვარული და პატივისცემა უფრო ფართო მასშტაბებს იძენს და რაც დრო გადის, მეტი და მეტი ადამიანი ცდილობს მასთან დაახლოებას, მისგან სითბოს, სიყვარულის მაგალითის მიღებას. ასეთები, ჩვენდა სასიხარულოდ, ბევრი გვყავს საგარეჯოელებს (აქ მთელი რაიონი იგულისხმება). სწორედ მათ ზოგიერთისთვის გაცნობას, ზოგიერთისთვის შეხსენებას ჰპირდება ჩვენი გაზეთი.

დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია ქ-ნი ნელი ყანჩაშვილი, რომელიც 1959 წლიდან – სიღნაღელი 18 წლის გოგონა ჩვენი, ჩვენი საგარეჯოელების რძალია. მან მეუღლესთან საგარეჯოელ ჯემალ ბურჯანაძესთან ერთად საგარეჯოს კულტურის განვითარების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა. პირველად მათ განაწილებით ონში დაიწყეს მუშაობა, მაგრამ მაშინდელი რაიკომის მდივნის მოწვევით, საგარეჯოში დაბრუნდნენ და ორი წლის გახსნილ სამუსიკო სკოლაში დაიწყეს მოღვაწეობა. ქ-ნ ნელის სამუშაო ადგილი არასოდეს შეუცვლია, მეუღლეს კი, რომელიც ერთხანს სამუსიკო სკოლის დირექტორი, შემდეგ კი საგარეჯოს რაიონის კულტურის განყოფილების უფროსი იყო, ყოველთვის მხარში ედგა.

საგარეჯოს სამუსიკო სკოლის კურსდამთავრებულებს კარგად ახსოვთ ქ-ნ ნელის პედაგოგიური ტაქტი, შრომისმოყვარეობა, მომთხოვნელობა და პედაგოგის ბოლომდე გახარჯვა, რათა თითოეულ მოსწავლეს გაეთვითცობიერებინა და შეგნებულად შეესწავლა მასალა, რასაც სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს სასწავლო პროგრამა სთავაზობდა, ახსოვთ მსმენელისგან გადაჭედილი საკონცერტო დარბაზიც, ის პირობებიც, რომლებშიც 70-80-იან წლებში უხდებოდათ მათ პედაგოგებს მუშაობა.

დღეს ქ-ნი ნელი თავის მიერ დათესილ სიყვარულს იმკის, იმ სიყვარულს, რომელიც მომავალ თაობის, მისი თანაქალაქელების, მეგობრების, მეზობლების მიმართ ათეული წლების განმავლობაში ჩადო. დღეს 1 შვილის, 3 შვილიშვილის და 5 შვილთაშვილის სახით „დიდი სიმდიდრის“ მეპატრონე ჩვენი გაზეთის სტუმარია.

– ქ-ნო ნელი, გილოცავთ თქვენი მოღვაწეობის 60 წლის იუბილეს და იმ ჯილდოს, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა საგარეჯოს რაიონის კულტურის განვითარებაში შეტანი წვლილისათვის გადმოგცათ. საგარეჯოელები გიცნობთ, მაგრამ მოდით, მათ გააცანით თავი, ვინც ვერ გიცნობთ.

– მე ვარ ნელი ყანჩაშვილი. დავამთავრე სამუსიკო სასწავლებლის ჯერ საგუნდოსადირიჟორო, ხოლო შემდეგ საფორტეპიანო განხრა. პროფესიით პედაგოგი.

– რას საქმიანობთ ამჟამად?

– ამჟამად ვმუშაობ საგარეჯოს სამუსიკო სკოლაში ფორტეპიანოს პედაგოგად.

– გაიხსენეთ თქვენი შემოქმედებითი ეტაპები.

– 60 წლის განმავლობაში თავდაუზოგავად ვმუშაობდი ჩემი სპეციალობით. მონაწილეობას ვღებულობდი ზონალურ თუ რესპუბლიკურ კონკურსებში, ფესტივალებში. თითქმის ყოველთვის გამარჯვებული ბრუნდებოდი, მიღებული მაქვს სიგელები, დიპლომები, მადლობები. ეხლაც მაქვს სურვილი ისეთივე ენერგიით ვიმუშაო ბავშვებთან და არა მარტო ნოტები ვასწავლო, თითოეულ მუსიკალურ ნაწარმოებში ბავშვის გონებამდე ზედმიწევნით მივიტანო შინაარსი, რაც კომპოზიტორმა ჩადო.

– თქვენი ტკივილი...

– ჩემი ტკივილი ჩემი მეუღლის ბატონ ჯემალ ბურჯანაძის 2006 წელს წასვლაა ამქვეყნიდან, ჩემი დიდი ტკივილი მთელი საქართველოა.

– გამოთქვით რაზედაც გინდათ აზრი.

– ვერ ვიტან ტყუილს, შურს, ერთმანეთის მიმართ უმადურობას, მიყვარს და პატივს ვცემ ნიჭიერ ადამიანებს, ბედნიერი ვარ, როდესაც ვინმეს რამეზე ვეხმარები.

– რაზე ფიქრობთ ხშირად?

– ვფიქრობ ზოგადად ჩემს ქვეყანაზე, ჩემს რაიონზე, ჩემს შვილსა თუ შვილიშვილებზე, შვილთაშვილებზე, მათ მომავალზე. მინდა ვიყო ჯანმრთელი, კიდევ დიდხანს ვიცოცხლო, გვერდში ვედგე ჩემს ოჯახს და ვაკეთო სიკეთე.

– დროში მოგზაურობა, ცხოვრების პერიოდიდან ყველაზე ლამაზად რომელი დრო გახსენდებათ?

– ვისურვებდი XX საუკუნეში ყოფნას. ახალგაზრდა ვიყავი, ენერგიით სავსე, მყავდა საუკეთესო მეუღლე, აფხაზეთი და სამაჩაბლო ჩვენი იყო.

– რის შექმნას მოისურვებდით თუ ყველანაირი პირობა გექნებოდათ?

– დავეხმარებოდი გაჭირვებულებს, ავადმყოფებს, პენსიონერებს. თუ ყველანაირი პირობა მექნებოდა, ბევრი რამის გაკეთება შეიძლებოდა, მათი ჩამოთვლა კი შორს წაგვიყვანს.

– რას უსურვებდით, რით დამოძღვრავდით ჩვენი გაზეთის მკითხველს?

– მსურს იყოს მშვიდობა, ადამიანებს უყვარდეთ ერთმანეთი, შეეძლოთ ერთმანეთის გატანა. ცხოვრებაში სხვისი სიკეთე არასოდეს შემშურებია. არ შეიძლება ადამიანის შეძულება ჩემი მტერიც რომ იყოს. ვარ მიმტევებელი ყველას მიმართ და ვისურვებდი ყველას ჰქონოდეს ეს თვისებები.

– დიდხანს იცოცხლეთ, ჯანმრთელობას და კვლავაც შემოქმედებით საქმიანობას გისურვებთ.

– მადლობა!

გვერდი მოამზადა თინა ილაურმა

საგანმანათლებლო კერა

საგარეჯოს ბიბლიოთეკა 130 წლისაა

პეტრეპავლეს ეკლესიის წიგნთსაცავი

გაგრძელება (დასაწყ. იხ. №11-ში)

***ადამიანის** ყველაზე სასარგებლო, გულწრფელი, ყველაზე უანგარო და ერთგული მეგობარი და დამრიგებელი წიგნია*

ედვარდ რიდი

დავით გარეჯის მონასტრის ისტორიული მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ ყურადღებას იქცევდა სამეფო ოჯახის წევრებისასაც. ამ მონასტერში აღიკვეცა ბერად დავით აღმაშენებლის შვილი დემეტრე I დამიანე ბერის სახელწოდებით. ამ მონასტრის წინამძღვრები სამეფო კარის დარბაზის წევრები იყვნენ.

დემეტრე II თავდადებულის დროს (1270-1289) აქ ცხოვრება დუღდა. გაფართოვდა, განვითარდა და ძლიერ პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ძალად იქცა.

შემდგომ საუკუნეებში მონღოლთა, სპარსთა და სხვა ურჯულოების შემოსევების დროს მონასტერში ცხოვრება შეჩერდა. დავით გარეჯა დაარბიეს, ეკლესია-მონასტრებიდან ფრესკები ჩამოფხიკეს და გაანადგურეს, მაგრამ მეფე თეიმურაზ I-ის დროს თანდათან სამონასტრო ცხოვრება აღდგა. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ ონოფრე გარეჯელი (XVII), ბესარიონ ბარათაშვილი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, ანტონ I, გაბრიელ მცირე და სხვანი. ეს სასულიერო მოღვაწენი დიდი მწიგნობრებიც იყვნენ.

დავით გარეჯში აღიკვეცა ბერად სულხან-საბა ორბელიანი. ამ პერიოდისათვის ვახტანგ VI-მ უკვე დააარსა სტამბა და მონასტერში ხელნაწერი წიგნების გარდა ნაბეჭდი წიგნებიც გაჩნდა. ვახტანგ VI დავით გარეჯს დიდ ყურადღებას უთმობდა, მით უმეტეს, რაც აქ სულხან-საბა ორბელიანი დაფუძნდა. ცნობილია, რომ სწორედ აქ დაწერა მწერალმა თავისი ცნობილი ნაწარმოებები.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სასულიერო პირი არა მარტო სასულიერო, არამედ მწიგნობრები და ბიბლიოფილებიც იყვნენ.

1885 წელს დავით გარეჯში იმოგზაურა და შეისწავლა მონასტერში დაცული წიგნები პ. კარბელაშვილმა. ეს იყო დიდად განათლებული პიროვნება, რომელმაც ხელნაწერთმცოდნეობაში დიდი ნიჭი გამოავლინა. მან აღწერა მონასტერში არსებული ხელნაწერები. ის ერთ-ერთი პირველი შემსწავლელი იყო ხელნაწერი წიგნებისა. 1885 წელს, როცა მან დავით გარეჯში იმოგზაურა, მან ნახა 22 ტყავზე დაწერილი 110 ხელნაწერი წიგნი, შეადგინა აღწერილობის კატალოგი და მიაწოდა ილია ჭავჭავაძეს გაზეთ „ივერიაში“ დასაბეჭდად. ერთ-ერთ წიგნზე ყოფილა დავით აღმაშენებლის გამეფების მიზეზები, რასაც იმ დროისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აქ აღწერილი წიგნების შესწავლის შემდეგ წერდა ილია ჭავჭავაძე გაზეთ „ივერიის“ მეთაურ წერილში დავით გარეჯის მონასტერში შექმნილი „სწავლება-მოძღვრებანის“ შესახებ („ივერია“, 1886წ, №59).

გარეჯის განძის მხილველი – აღმწერი პ. კარბელაშვილის მიერ მოძიებული მასალები დღეს დაცულია სიძველეთა საცავებში. პ. კარბელაშვილი „ივერიაში“ ამ ხელნაწერების შესახებ მასალებს აქვეყნებდა პ. სამთავისელის, პ. ჭალელის, პ. ცხვილოელის ფსევდონიმებით („ივრის განთიადი“; 1980წ. №59).

ასეთი განათლების მქონე ადამიანები, ცხადია, უყურადღებოდ არ დატოვებდნენ მონასტრის წიგნთსაცავს და მის მოვლასთან ერთად გაფართოებაზეც იზრუნებდნენ. აქ არსებულ ბიბლიოთეკებზე საყურადღებო ცნობებს გვაძლევენ ქართული კულტურის კერების მკვლევარებიც. იქ მოღვაწე ბერები უვლიდნენ წიგნებს, გადაწერდნენ, ამრავლებდნენ. დიდი ყურადღება ექცეოდა ყდების მოხატვას. ისინი აგროვებდნენ ძველ ხელნაწერ წიგნებს, რესტავრირებას უკეთებდნენ, კინძავდნენ და ყდაში სვამდნენ. ამ გზით ყოველდღე იზრდებოდა მონასტრის კუთვნილი ლიტერატურა.

დავით გარეჯის სამივე მონასტერს – დავითის ლავრას, იოანე ნათლისმცემელსა და დოდოს რქას ჰქონდათ თავ-თავიანთი პატარა წიგნადი ფონდი, საკუთარი ბიბლიოთეკები, რომლებიც XVII-XVIII საუკუნეებში გაერთიანებულა და თითქმის ყველაზე დიდ ბიბლიოთეკად ითვლებოდა მთელ აღმოსავლეთ საქართველოში. აქ არსებულ წიგნებზე სია შეუდგენია ონოფრე მაჭუტაძეს. მას ასეთივე სია ჰქონია შედგენილი საგარეჯოს პეტრეპავლეს ეკლესიაზეც, ოღონდ მცირე.

ცოტა რამ საგარეჯოს თავთა მოციქულთა პეტრეს და პავლეს ეკლესიის შესახებ

ეს ეკლესია აუშენებიათ ონოფრე მაჭუტაძის თაოსნობით. ამ ეკლესიის ადგილმდებარეობის შესახებ ხალხური თქმულებაც არსებობს: იმდენად ლამაზი ადგილი ყოფილა, როცა აქედან თამარ მეფეს გადმოუხედია, მოხიბლულა ლამაზი ხედით და უბრძანებია აქ სასტუმრო დარბაზი აეშენებინათ. სწორედ მისი ადგილმდებარეობით მოხიბლულა XVIII საუკუნეში ონოფრე მაჭუტაძეც. ეს ეკლესია აუშენებიათ 1710-1712 წლებში. იმდენად ჰყვარებია მას ეს ეკლესია, რომ მისი სიკვდილის მერე, 1736 წელს, აქ დაუსაფლავებიათ ეკლესიის გვერდით, რასაც ადასტურებს 1712 წლის გუჯარი: „აღვაშენე თვალზე (საგარეჯოს ძველი სახელწოდება) საყდარი პეტრე-პავლესი და შევამკე პატიოსანი ხატითა, ჯვრითა, სიწმინდის იარაღითა და წიგნებითა“. როგორც ვხედავთ, გუჯარშიც კი ჩანს, რომ ონოფრე მაჭუტაძეს პეტრე-პავლეს ეკლესიაში წიგნსაცავი (ბიბლიოთეკა) შეუქმნია. ეს ეკლესია მაჭუტაძეს მაშინდელი მეფის იმამ-ყული ხანის დახმარებით აუშენებია 1710-1712 წლებში (იხ. თ. ჟორდანია; ქრონიკები. 1897წ. გვ 51).

ამ ეკლესიის ასაშენებლად ონოფრე მაჭუტაძეს ხელოსნები, ქვისმთლელები და მხატვრები საბერძნეთიდან ჩამოუყვანია. ეკლესიიის აშენების შემდეგ შეუძენიათ ინვენტარი. ეკლესიის მშენებლობისას ონოფრე მაჭუტაძეს აქ მოუწვევია სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც დავით გარეჯში ბერად იყო აღკვეცილი. სწორედ მას ურჩევია წინამძღვრისათვის, ბარემ ისეთი ეკლესია ააშენე, რომ იქ წიგნსაცავი (ბიბლიოთეკაც) შექმნაო. მართლაც, ეკლესიის დასრულების შემდეგ მაჭუტაძეს მიუღწევია, რომ გარეჯის მონასტრიდან წიგნები გადაუციათ პეტრე-პავლეს ეკლესიისათვის, რაც მანამდე სასტიკად ყოფილა აკრძალული (იხ. ივ. ლოლაშვილი: „სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობიდან“; 1959წ გვ3). ის იძლევა მითითებას, როგორ გამოიყენონ ეს წიგნები.

ამ ეკლესიაში დეკანოზად დაუნიშნავთ იოანე, რომელიც დავით გარეჯში მოღვაწეობდა. ის ყოფილი ყმა ყოფილა, მაგრამ დიდად ნიჭიერი და საკმარისი განათლებაც მიუღია, იმდენად დიდი, რომ ბოლოს თვალ-საგარეჯოს ეკლესიების მამამთავარი გამხდარა. ეკლესიის დასრულების შემდეგ ის მართლაც დავით გარეჯის ფილიალი გამხდარა და თავისი წვლილი შეუტანია საგარეჯოს (მაშინდელი თვალის) კულტურული და სულიერი აღორძინების საქმეში.

(გაგრძელება იქნება)

ლია ურდულაშვილი,

საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფი

მართლმადიდებლობა

პეტრე-პავლობის მარხვა



სულთმოფენობის მეორე შვიდეული ყოველთა წმიდათა კვირიაკედ იწოდება, შემდეგი ორშაბათიდან კი წმინდა მოციქულთა მარხვა იწყება. ეს მარხვა მოციქულთა პეტრესა და პავლეს ხსენებით გვირგვინდება, ამიტომ სახელიც მათი ჰქვია - პეტრეპავლობის მარხვა.

მოციქულთა პეტრესა და პავლეს ხსენების დღე ძველი სტილით 29 ივნისს (ახალი სტილით - 12 ივლისს) აღინიშნება. მეორე დღეს, ე.ი. ძველი სტილით 30 ივნისს, ეკლესია იხსენიებს წმინდათა დიდებულთა და ყოვლად ქებულთა მოციქულთა კრებას: პეტრეს, ანდრიას, იაკობ ზებედის ძის, იოანეს, ფილიპეს, ბართლომეს, თომას, მათეს, იაკობ ალფეს ძეს, იუდა იაკობის ძეს (თადეოზს), სვიმონ მოშურნესა და მატათას.

აღსანიშნავია, რომ ამავე დღეს, ძველი სტილით 30 ივნისს (ახ. სტ. - 13 ივლისს), საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სვეტიცხოვლობის ბრწყინვალე დღესასწაულს ზეიმობს.

ამ მრავალდღიან მარხვას ძველად „ერგასის შემდგომს“ უწოდებდნენ. ამჟამად მას ზაფხულის მარხვადაც იხსენიებენ. საეკლესიო გადმოცემით, იგი ჯერ კიდევ მოციქულებს დაუწესებიათ.

წმიდა მოციქულები პეტრე და პავლე თავიანთი მოციქულებრივი და მოწამეობრივი ღვაწლით გამორჩეულნი არიან სხვა მოციქულთა შორის, რის გამოც ეკლესია მათ იხსენიებს, როგორც „თავთა მოციქულთა“. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა გზით მოვიდნენ ქრისტესთან (კერძოდ, პეტრე თორმეტ მოწაფეთაგანია, ხოლო პავლე ქრისტიანთა ყოფილი მდევნელი სავლე, სასწაულებრივი მოქცევის შემდეგ გახდა უფლის უდიდესი მსახური), მათ შორის არის ერთგვარი სულიერი სიახლოვე, მსგავსება, რაც თუნდაც იმაში გამოიხატა, რომ ისინი ერთდრულად აღესრულნენ იმპერატორ ნერონის დროს, 67 წელს, როდესაც პეტრე თავდაყირა გააკრეს ჯვარზე, ხოლო პავლეს თავი მოჰკვეთეს.

სულთმოფენობის შემდეგ მოციქულები მარხვითა და ლოცვით ემზადებოდნენ სახარების საყოველთაო ქადაგებისთვის; დააარსეს ეკლესიები და ხელი დაასხეს ხუცებს. „საქმე მოციქულთა“ მოგვითხრობს: „და უკურთხნეს მათ ეკლესიად-ეკლესიად ხუცესნი და ლოცვითა და მარხვით შეჰვედრეს იგინი უფალსა, რომლისაცა მიმართ ჰრწმენა“ (საქმე 14, 23).

პეტრეპავლობის მარხვას „მოციქულთა განწესებაც“ იხსენიებს: „სულთმოფენობის შემდგომ იზეიმეთ ერთი შვიდეული და შემდგომ იმარხულეთ“.

პეტრეპავლობის მარხვის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ათანასე დიდთან, ამბროსი მედიოლანელთან (IV ს.) და ლეონ დიდთან (V ს.). წმინდა ათანასე დიდი იმპერატორ კონსტანტინესადმი მიძღვნილ სიტყვაში, რომელშიც არიანელებს ამხელს, წერს: „წმინდა ორმოცდამეათე დღის შემდგომ, მარხვაში, ერი სალოცავად გავიდა სასაფლაოზე“; წმინდა ამბროსი მედიოლანელი ამბობს: „ღმერთმა ისე განაგო, რომ მონაწილეობა მიგვეღო მის ვნებებში, ორმოცდღიან მარხვაში; ასევე ბედნიერგვყო თავისი აღდგომითა და სულთმოფენით... ხოლო ამ მხიარულ დღეთა შემდეგ ჩვენ ისევ ვმარხულობთ“; ლეონ დიდი კი წერს: „საეკლესიო მარხვები წელიწადის დროთა შესაბამისად ისეა განაწილებული, რომ წელიწადის ყოველ დროს შესაბამისი თავშეკავებული მოღვაწეობაც ახლავს“.

პეტრეპავლობის მარხვა სულთმოფენობიდან ერთი კვირის შემდეგ იწყება. სულთმოფენობის დღესასწაული, თავის მხრივ, ბრწყინვალე აღდგომის მოძრავი თარიღის მიხედვით გამოითვლება. ასე რომ, პეტრეპავლობის მარხვის ხანგრძლივობა აღდგომის თარიღზეა დამოკიდებული. ის ყველაზე დიდი ექვსი კვირა გასტანს, ხოლო ყველაზე მცირე - 7 დღე.

ანტიოქიის პატრიარქი თეოდორე ბალსამონი (XII ს.) მიუთითებს: „პეტრეპავლობის დღესასწაულამდე შვიდი და უფრო მეტი დღით აღრე ყოველი ქრისტიანი, ერისკაცნიცა და მონაზვნებიც, ვალდებულნი არიან, იმარხულონ, თორემ განყენებულნი იქნებიან კრებულიდან“.

ცნობილია, რომ ეს მარხვა სულთმოფენობის შემდგომ ესპანეთის 517 წლისა და ტრულის 582 წლის II საეკლესიო კრებაზე განაწესეს. წყაროებიდან ჩანს, რომ პეტრეპავლობის მარხვა თავდაპირველად მხოლოდ ერთი კვირა გრძელდებოდა. მერე კი, როდესაც მთელ მსოფლიოში ერთსა და იმავე დღეს დაიწყეს მოციქულების პეტრესა და პავლეს ხსენება, მარხვის ხანგრძლივობაც გაიზარდა - დადგინდა, მათი ხსენების დღემდე, ე.ი. 12 ივლისამდე ემარხულათ. კანონები მოციქულთა მარხვის შესახებ დაცულია იოანე მმარხველთან (VI ს.), საბა იერუსალიმელისა და სტუდიელთა მონასტრის ტიპიკონებში. ამ მარხვას თავიანთ ეპისტოლეებში იხსენიებენ პატრიარქი ნიკიფორე და თეოდორე ბალსამონიც.

პეტრეპავლობის მარხვა დიდმარხვასა და ვნების შვიდეულთან შედარებით მსუბუქი მარხვაა.

საქართველოს ეკლესიაში მარხვის შენახვის წესს აკურთხებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ან ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი (როგორც წესი, ეს მარხვა თევზით ხსნილია, მაგრამ ამისთვის კურთხევას უმაღლესი საეკლესიო პირნი იძლევიან).

მორწმუნე, რომელსაც სურს, სულიერი თუ ფიზიკური მდგომარეობის გამო შეიმსუბუქოს მარხვა, კურთხევას იღებს მმართველი ეპისკოპოსისგან ან სულიერი მოძღვრისგან. ამით თავიდან ავიცილებთ ყოველგვარ გაუგებრობასა და გართულებებს, თვითნებურ მარხვას რომ მოსდევს ხოლმე თან.

სპორტი

გზა, რომელიც ჩემპიონობამდე მიდის

***ივნისის** დასაწყისში პოლონეთში გამართულ ყაზახურ ჭიდაობა კურესში გამართულ ევროპის პირველობაზე გარეჯელმა ფალავანმა ირაკლი კუპატაძემ, რომელიც 57 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა, ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ამით მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თუ კაცი მოინდომებს, მიუდწეველი ამ ქვეყნად არაფერია, მით უმეტეს ისეთი ქვეყნის შვილისათვის, რომელსაც ჭიდაობის ასეთი მრავალფეროვანი და მსოფლიოში უნიკალური ტრადიციები აქვს.*

... ათი წლის ყოფილა ირაკლი, როცა მამამისმა, ყოფილმა მოჭიდავემ, თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონმა და პრიზიორმა პაატა კუპატაძემ ძიუდოში სავარჯიშოდ მანავიდან საგარეჯოს ძიუდოს დარბაზში მწვრთნელ მამუკა მათიაშვილთან მიიყვანა. უფრო ადრე, მამუკა მათიაშვილთან სავარჯიშოდ ირაკლის უფროსი ძმა, ძიუდოში საქართველოსა და სხვადასხვა ტურნირების ჩემპიონი და პრიზიორი გიორგი კუპატაძე მიუყვანია ჭიდაობაზე შეყვარებულ მშობელს.

პირველი წარმატება, რომელსაც ირაკლიმ მიაღწია, ვარჯიშის დაწყებიდან სამ თვეში მომხდარა, ათი წლის ასაკში, როცა ძიუდოში გამართული რაიონული ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა 27 კგ წონით კატეგორიაში. სწორედ ეს წარმატება დაედო საფუძვლად და ათვლის წერტილი გახდა მისი შემდგომი წარმატებებისა. 15 წლის ასაკში იგი საქართველოს ჩემპიონია ჭიდაობის სამ სახეობაში: ქართულში, ძიუდოსა და სამბოში ჭაბუკთა შორის. მალე კი ხდება ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში.

– ევროპის პირველობები ჭიდაობა სამბოში სამჯერ მაქვს მოგებული, – ***მეუბნება ახლა უკვე უფროსი ასაკის ფალავნებში გადასული, გერმანიიდან დაბრუნებული ირაკლი,*** – ერთხელ ჭაბუკებში და ორჯერ ახალგაზრდებში. მანამდე იყო სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირები და წარმატებები.

– წარმატებულად უნდა ჩაითვალოს შენი დებიუტი დიდების ასაკშიც დიდ საერთაშორისო არენაზე. მხედველობაში მაქვს შენს მიერ ესპანეთში ჭიდაობა სამბოში ევროპის პირველობაზე მიღწეული შედეგი. შენ როგორ გაიხსენებდი ამ შეჯიბრებას?

– ევროპის ჩემპიონატი სამბოში ჩატარდა ესპანეთის ქალაქ ტიხონაში, 17-19 მაისს. აქ მე ვჭიდაობდი 57კგ წონით კატეგორიაში, სადაც დავიკავე მესამე საპრიზო ადგილი, რაც ვგონებ ურიგო შედეგად არ ჩაითვლება.

– მოდი შენი შარშანდელი წარმატებებიც გავიხსენოთ. მგონი, შარშან ისევ გაიმეორე ჭაბუკობის ასაკში მიღწეული წარმატებები და გახდი საქართველოს ჩემპიონი ძიუდოში, სამბოსა და ქართულ ჭიდაობაში?

– კი, ეს ტიტულები მოვიპოვე ძიუდოში 60 კგ წონით კატეგორიაში, სამბოში (57კგ) და ქართულში 60 კგ წონით კატეგორიაში.

– ვინ-ვინ და შენ ჩემზე უკეთ მოგეხსენება, თუ რა წვლილი მიუძღვით მწვრთნელებს სპორტსმენების ამა თუ იმ მიღწევებში. მამუკა მათიაშვილის შემდეგ ვინ არიან შენი მწვრთნელები, სად გიწევს ვარჯიში?

– რაც შეეხება ვარჯიშს, ვვარჯიშობ საგარეჯოს ძიუდოს დარბაზშიც და თბილისშიც, საქართველოს ძიუდოსა და სამბოს ნაკრები გუნდების ბაზაზე. ძიუდოში ჩემი მწვრთნელია გიორგი ბაინდურაშვილი, სამბოში – ჯონდო მუზაშვილი.

– ირაკლი, შენ არც თუ იშვიათად გერმანიაშიც იმყოფები საკლუბო ჭიდაობებზე. რომელი კლუბის სახელით გიწევს იქ გამოსვლა?

– ეს არის ბუნდესლიგის კლუბი, რომელიც გასულია ფინალურ ბლოკში ჭიდაობა ძიუდოში. აქ მე ვჭიდაობ 60 კგ წონით კატეგორიაში და ვითვლები ძირითად გუნდში. წელს ფინალი გაიმართება სექტემბერში და აუცილებლად მომიწევს იქ მონაწილეობა, რის ხარჯებსაც ისინი აანაზღაურებენ.

– სამბოში ევროპის პირველობამდე შენ წელს მონაწილეობა მიიღე ბელარუსში, მინსკის მსოფლიო თასის გათამაშებაში, სადაც მსჯავების არაობიექტურობის გამო ვერ გახდი ჩემპიონი, რა მოხდა ამ შეჯიბრებაზე?

– მინსკის მსოფლიო თასის გათამაშებაში ფინალურ შეხვედრაში ჩემი მეტოქე სწორედ ბელორუსი მოჭიდავე იყო. მე იგი აშკარად დავამარცხე ქულებით, მაგრამ ვინაიდან იგი ამ ქვეყნის წარმომადგენელი იყო, ხათრი ვერ გაუტეხეს და ოქროს მედალი „აჩუქეს“, მე კი მეორე ადგილზე „ჩამომაქვეითეს“.

– შენზე თქვეს, უმაღლეს სპორტულ სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას და დაოჯახებას აპირებსო, მართალია?

– ვსწავლობ თბილისის სპორტის უნივერსიტეტის სამწვრთნელო ფაკულტეტზე, ვარ I კურსის სტუდენტი და რა თქმა უნდა, არც დაოჯახებას გავურბივარ.

– ამ თვის დასაწყისში შენ მონაწილეობდი და გახდი პოლონეთში გამართული ყაზახური ჭიდაობა კურესის ევროპის პირველობის ჩემპიონი. რა ჭიდაობაა ეს და რით განსხვავდება იგი ჭიდაობის ქართულ ან სხვა სახეობებისგან?

– ამ ჭიდაობაში ბევრი არაფერია განსხვავებული, გარდა საჭიდაო ჩოხისა და შეფასების კრიტერიუმებისა.

– როდის და სად გაიმართება ამ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატი და თუ აპირებ მასში მონაწილეობის მიღებას?

– ეს ჩემპიონატი გაიმართება ისრაელში, ოქტომბერში და მე, რა თქმა უნდა, მასში უეჭველად ვიჭიდავებ ჩვეულ 60 კგ წონით კატეგორიაში.

– კურესის მსოფლიო პირველობასთან ერთად წინ ასევე არის მსოფლიო ჩემპიონატი სამბოში. მეც და ჭიდაობის სხვა გარეჯელ გულშემატკივრებსაც გვინდა რომ იქიდან მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულით დაბრუნებული გნახოთ. შენ რას ფიქრობ?

– ჯერჯერობით ამ ჩემპიონატზე მოსახვედრად საჭიროა ლიცენზიის მოპოვება, რისთვისაც დაწყებული მაქვს მზადება და რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონობას, ვეცდები არც ეგ იმედები გავუცრუო ჩემს გულშემატკივრებს.

– აბა, შენ იცი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს ამ მიზნის მისაღწევ გზაზე.

„კლასიკოსთა“ ასპარეზობის ჩემპიონი

საგარეჯომ კლასიკურ ჭიდაობაში მუნიციპალიტეტის მერიის თასს უმასპინძლა

21-22-23 ივნისს საგარეჯოს ძიუდოს დარბაზში ჩატარდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში სამ ასაკობრივ ჯგუფში – 2003-2004, 2007-2008 და 2009-2010 წლებში დაბადებულ მოჭიდავეთა შორის. შეჯიბრებაში ასპარეზობდნენ სომხეთის სამი, აზერბაიჯანის, სამეგრელოს, აჭარის რეგიონების, ქალაქების: ქუთაისის, ბაღდადის, თბილისის, რუსთავის, ბორჯომის, ხაშურის, ჭიათურის, სართიჭალის, ნორიოს ამ სტილის მოჭიდავეები, სულ 200-მდე მონაწილე.

ასპარეზობა 19 წონით კატეგორიაში ჩატარდა, რომელსაც მთავარი მსაჯის რანგში სჯიდა საერთაშორეისო კლასის სპორტის ოსტატი ტარიელ როსტომაშვილი.

ერთი პირველი, ორი მეორე და ხუთი მესამე საპრიზო ადგილი, – ასეთია საგარეჯოელ ბერძენ-რომალელთა შედეგი ამ ასპარეზობაში.

თასის მფლობელი საგარეჯოელთაგან გახდა ლუკა მარტიაშვილი (46კგ), მეორე საპრ-

დასასრული მე-8 გვერდზე

ფეხბურთი

„გარეჯი-1960“ მეოთხედფინალშია! მატჩის ბედი პენალტებმა გადაწყვიტა

18 ივნისს საგარეჯოს ცენტრალურ სტადიონზე მეტად საინტერესო და ისტორიული მნიშვნელობის მატჩი გაიმართა. საფეხბურთო კლუბ „გარეჯი-1960“-ის ფეხბურთელებმა საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშებაზე თავიანთი მორიგი, მერვედფინალური შეხვედრა გამართეს თბილისის საფეხბურთო კლუბ „სპაერის“ წინააღმდეგ. ამ შეხვედრას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისათვის და ამიტომაც შეხვედრის პირველი წუთებიდანვე მონდომებით ჩაებნენ თამაშში, სულ რამდენიმე წუთში კი სტუმრებმა შეძლეს გარეჯელთა კარში პირველი გოლის გატანა. ამას, რა თქმა უნდა, გარეჯელთა საპასუხო კონტრშეტევები მოჰყვა და ბესო ჩიმაკაძემ ერთ-ერთი გარღვევა გოლით დააგვირგვინა. ამის შემდგომ ამინდი აირია და ფეხბურთელებს თამაშის გაგრძელება პირველი ტაიმის ბოლომდე თავსხმა წვიმაში მოუწიათ. მიუხედავად ამისა, მეტოქეებმა შეძლეს კიდევ თითო გოლის გატანა. კერძოდ, წითელმაისურიანმა სპაერ-ელებმა 36-ე წუთზე შეძლეს წინ გასვლა, ხოლო 42-ე წუთზე დიტო ხუციანიძის დარტყმამ უწია მიზანს და წონასწორობა აღადგინა – 2:2.

მეორე ტაიმისათვის წვიმამ გადაიღო და მეტოქეები ხელოვნურსაფარიან მინდორზე კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, რომლის დროსაც სტუმრებმა მოუმატეს უხეშობას, მსაჯი კი ამაზე სათანადო რეაგირებას არ ახდენდა. ამის შედეგად სპაერელებმა შეძლეს ორი გოლის გატანა – ერთი გარეჯელების და საბედნიეროდ – ერთი საკუთარ კარში.

3:3 – ასე დასრულდა II ტაიმი. დაინიშნა ორი დამატებითი 15 წუთიანი ტაიმი, რომლის დროსაც ანგარიში არ შეცვლილა. ჯერი პენალტებზე მიდგა, რაც კარგად შეასრულეს გარეჯელმა ფეხბურთელებმა. გიორგი ნიჟარაძემ, გიორგი ჭაავამ, გიორგი მელქაძემ და ილო გუჯარაიძემ ზედიზედ ოთხი პენალტი გაიტანეს, რასაც მეტოქემ მხოლოდ ორით უპასუხა. ეს კი „გარეჯი-1960“-ის გამარჯვებას და მეოთხედფინალში გასვლას ნიშნავდა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ჩვენ შევხვდით კლუბ „გარეჯი-1960“-ის პრეზიდენტს ლაზარე დათუნაშვილს, ჩვენთვის და ალბათ გარეჯელი გულშემატკივრებისთვის საინტერესო რამდენიმე კითხვაზე პასუხის გასაცემად, რომელმაც გუნდის მწვრთნელებთან გადაგვამისამართა (მთ. მწვრთნელი დათო ქოქიაშვილი, ფიზმომზადების მწვრთნელი მანუჩარ მანჯავიძე, დამხმარეები – დათო მაისურაძე, რეზო ხებრელაშვილი). როგორც მანუჩარ მანჯავიძემ გვაცნობა „სპაერელებთან“ მატჩში გარეჯელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: მინდია ბობდიაშვილი, ვახო კაპანაძე, ზურა ძამსაშვილი, თემურ ბექაური, სოსო მოლაშვილი, გიორგი მელქაძე, დიტო ხუციანიძე, ბესო ჩიმაკაძე, ილო გუჯარაიძე, ლერი ხოხონიშვილი, გიორგი ჯოხაძე. სათადარიგო მოთამაშეები: ნიკა რევაზიშვილი, კოსტა ციკალანოვი, ნიკა კუჭუაშვილი, გიორგი გოგილაშვილი, სბა თავაძე, გიორგი ნიჟარაძე, გიორგი ჭაავა.

– რას გეგმავს „გარეჯი-1960“-ის ხელმძღვანელობა სამომავლოდ? – ბოლო კითხვით მივმართავ ჩემს რესპოდენტს.

– ამ მოგებით გავედით დავით ყიფიანის სახელობის თასის მეოთხედვინალში. მალე კენჭისყრით გადაწყდება, ვინ იქნება ჩვენი შემდეგი მეტოქე. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიბრძოლებთ გამარჯვებისათვის.

ძიუდო

თბილისში, ღიდერთა თასის გათამაშებაზე

ამასწინათ თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში 2005-2006-2007 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა შორის, სადაც ქართველებთან ერთად მონაწილეობდნენ სომეხი, აზერბაიჯანელი და ჩეჩენი მოჭიდავეებიც. სხვა ქართველ მოჭიდავეებთან ერთად ასპარეზობაში გამოდიოდნენ აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ აღნიშნულ წლებში დაბადებული მოჭიდავეებიც.

2005-2006 წელში დაბადებულ ძიუდოისტებში ჩვენი მოჭიდავეებიდან მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა გიგა ბაქარაშვილი, 934კგ), ხოლო ონისე ბორაშვილი მესამე პრიზიორი გახდა ამავე წონაში სხვა ჯგუფიდან.

2007 წელში დაბადებულებში ჩემპიონი გახდა საბა ოდიკაძე (25კგ), მისი ძმა ოთო ოდიკაძე მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა 28 კგ წონით კატეგორიაში.

საგარეჯოელი ძიუდოისტები ამ ასპარეზობისათვის მოამზადეს მწვრთნელებმა მამუკა მათიაშვილმა და ნუკრი გაგნიაშვილმა.

ორი მეორე და სამი მესამე – ქარელის რესპუბლიკური ტურნირიდან

15 ივნისს ქარელში ჩატარდა ოლიმპიური ჩემპიონის შოთა ხაბარელის სახელობის ტრადიციული რესპუბლიკური ტურნირი 2003-2004-2005 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებს შორის. აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ მოჭიდავეები ყოველთვის იღებდნენ მონაწილეობას ამ ტურნირში და გამონაკლისი არც ეს ასპარეზობა ყოფილა.

საერთო შედეგში მათ ამ შეჯიბრებაში ხუთი საპრიზო ადგილის „მოხსნა“ შეძლეს – ორი მეორე და სამი – მესამის.

ტურნირის II პრიზიორები საგარეჯოელთაგან გახდნენ: დავით შათირიშვილი (73კგ) და სანდრო სონიშვილი (მძიმე წონა). მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ მურაზ ხუდოიანი (55კგ), მირიან კურდღელაშვილი (60კგ) და თენგო ხებრელაშვილი (73კგ), რომლებიც საგარეჯოს ძიუდოს დარბაზში მწვრთნელების მამუკა მათიაშვილისა და ნუკრი გაგნიაშვილის ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ.

ტურნირის III პრიზიორი ასევე გახდა გიორგიწმინდის საჭიდაო სკოლის აღსაზრდელი დავით კევლიშვილი (46კგ, მწვრთნელები გოჩა მეკოკიშვილი, ბადრი ბასილაშვილი).

გვერდი მოამზადა გივი დაბახიშვილმა

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს, გულშემატკივარსა და ხელისშემშველებელს, ჭეშმარიტად ქართული სულის პატრონს, საქართველოსა და საგარეჯოზე უზომოდ შეყვარებულ ბ-ნ **გია მარხვაშვილს.**

ვუსურვებთ სიკეთეს, სიხარულს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას საყვარელ ოჯახთან ერთად.

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია

აიპ „საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლის“ დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი დიდი სიყვარულით და პატივისცემით ულოცავს პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლისთავს ამავე სკოლის ღვაწლმოსილ პედაგოგს ქ-ნ **ნელი ყანჩაშვილს**. უსურვებს ჯანმრთელობას, წელთა სიმრავლეს და კვლავაც დიდხანს, დიდხანს შემოქმედებით, ნაყოფიერ მოღვაწეობას.

ძალგატონ ნელი ყანჩაშვილს!

ძ-ნო ნელი, გილოცავთ პედაგოგიური მოღვაწეობიდან 60 წლის შესრულებას. თქვენ ის პიროვნება ხართ, რომელმაც საგარეჯოს მომავალი თაობების აღზრდა-ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი და ამაგი მიგიძღვით. თაობებს ახსოვთ თქვენი და თქვენი ოჯახის თავდადებული, ენთუზიაზმითა და შემოქმედებითი მუხტით დამუხტული მოღვაწეობა ჩვენი რაიონის კულტურული ცხოვრების გალამაზებასა და გამრავალფეროვნებაში. დღეს თქვენს გვერდით არიან თქვენი აღზრდილი, თქვენგან დამოძღვრილი პედაგოგები, რომლებიც თქვენეულ ტრადიციებს ერთგულად აგრძელებენ, ტრადიციებს, რომლებიც სიამოვნებას ანიჭებს ხელოვნების მოყვარულთ.

გილოცავთ! გისურვებთ კვლავაც სულის მხნეობას, ჯანმრთელობას, ისეთივე შემართებით ყოფნას, როგორიც თქვენთვისაა დამახასიათებელი. გვიყვარხართ და ვამაყობთ თქვენით!

პატივისცემით თქვენი აღზრდილის მშობელი – თინა ილაური

დაბადების დღეს ვულოცავთ შპს „საგარეჯოს“ დირექტორის მოადგილეს **ლევან ქვლივიძეს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს, ბედნიერებას საყვარელ ოჯახთან ერთად და წარმატებებს სამსახურებრივ საქმიანობაში.

შპს „საგარეჯოს“ თანამშრომლები

სპორტი

„კლასიკოსთა“ ასპარეზობის ჩემპიონი საგარეჯომ კლასიკურ ჭიდაობაში მუნიციპალიტეტის მერიის თასს უმასპინძლა

დასასრული

იზო ადგილზე გავიდნენ მანავის სექციის აღსაზრდელები მერაბ დოღონაძე (55კგ) და ალექსი ბექაური (38კგ). მესამე პრიზიორები გახდნენ შალვა ტაბატაძე (55კგ), გიორგი აფციაური (42კგ), გუჯა მუნჯიშვილი (20კგ), ზუკა მახარობლიშვილი (23კგ) – ყველა მანავის სექციიდან და საგარეჯოს საჭიდაო სექციის წევრი ტარიელ პაატაშვილი (71კგ).

მუნიციპალიტეტის მერიის თასი გადაეცა 46 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებულ საგარეჯოელ ლუკა მარტიაშვილს, რომელსაც ეს ჯილდო პირადად მისმა მწვრთნელმა თამაზ ყიფიანმა გადასცა.

საპრიზო ადგილზე გასული მოჭიდავეები დაჯილდოვდნენ საგარეჯოს სპორტგაერთიანების შესაბამისი ჯილდოებით. ასპარეზობა ორგანიზებული იყო თამაზ ყიფიანისა და აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ხელმძღვანელობის მიერ.

ასპარეზობას ესწრებოდნენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექტორი უშანგი კუზანაშვილი, ამ გაერთიანების მუშაკები, ვეტერანი საგარეჯოელი „კლასიკოსი“ მოჭიდავე ვასილ ლაფაჩიშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი არჩილ ჯაბადარი, სხვა სტუმრები.

ხსოვნა

ჯემალ მღებრიშვილი



40 წელი გავიდა უშენოდ... თუმცა შენ მუდამ ჩვენს გვერდით ხარ! შენი მგზნებარება ელვარებს შენი შვილების, შვილიშვილების და შვილთაშვილების თვალებში...

ივნისი შენი დაბადების თვეა... მონატრება უფრო ძლიერდება...

არ დაიჯეროთ!
„დრო მკურნალიაო“ – ამბობენ,
მაგრამ არ ვიცი, – ვისთვის...
შენ უკურნებელი სენი და
ტკივილი ხარ ჩემთვის.
40 წელია ვიწვი და
ვერ ჩამაქრო დრომ,
ვერც შვება მომცა უშენოდ
ატმის ყვავილთა რტომ.
წლები ვერაფერს შველის,
უფრო მენატრები დღეს,
სიყვარულს წლები გამოსცდის –
ესე ყოფილა ეს...
ნაღვერდალს ნაცარი ჰფარავს
და არ ვაჩვენებთ სხვებს,
„დრო მკურნალიაო“... ამიტომ
ასე ჰგონიათ სხვებს.
უხმოდ, უსიცოცხლოდ მიდის
ჩვენი სიცოცხლის დღენი.
მივდივართ იმქვეყნად, თან მიგვაქვს
დროისგან უკურნებელი სენი.
დრო მკურნალიაო – არა,
არ დაიჯეროთ ეს...
უბრალოდ, სხვა გზა არ არის,
გვინდა, მომავლის გვჯეროდეს!
ნათელში იყავი.
ილოცე შენი შთამომავლობისათვის.

მზია დარგაისელი

შაქარაშვილი თემური სახლებს აშენებს შაქარით

ჩემი უსაყვარლესი გაზეთის „გარეჯის მაცნეს“ ფურცლებზე მინდა მადლობა გადავუხადო მუდამ მომღიმარს, სახელოვანი მამის სახელოვან შვილს, საგარეჯოელ ინჟინერს თემურ შაქარაშვილს ერეკლეს ქუჩაზე სახლის ხარისხიანი აშენებისათვის და ერთგულებისათვის, ამავდროულად მისი ბრიგადის ოსტატებს: შათირიშვილ ზაზას, შათირიშვილ ომარის, ხატიაშვილ უშანგის, მესროფოვ მამუკას, მესროფოვ დათოს, ქვლივიძე ემზარის, გრატიაშვილ ვაჟას, გრატიაშვილ ზაზას, ქილარჯიან გიორგის, შაქარაშვილ კახაბერს, ოთო ჭიაურელს. აქვე ბატონ თემურის მოქმედებას გამოვხატავ ლექსითაც:

შაქარაშვილი თემური სახლებს აშენებს
შაქარით,
ნახაზებს ხაზავს სიზუსტით,
თავისი ოქროს ფანქარით,
დაიარაება ამალით, სახელოვანი ამქარით,
ვითა სარდალი კორპუსის,
დიდსულოვანი ლაშქარით.

თამაზ ქვლივიძე

განცხადება

საგარეჯოს ცენტრში, მშვიდ ადგილას იყიდება სახლი ორსართულიანი და ერთსართულიანი კეთილმოწყობილი 1200მ2, ფასი შეთანხმებით. დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599 14 92 40.

გივი, თემური, იაგო, ია დაბახიშვილები დრმა მწუხარებით იუწყებიან და სამძიმარს უცხადებენ ვეფხია, მარინა და იმედა კუჭუაშვილებს შვილისა და ძმის

ნუკრი კუჭუაშვილის

გარდაცვალების გამო.

შპს „საგარეჯოს“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე შპს-ს დირექტორს თამაზ კუჭუაშვილს და აიპ „საგარეჯოს სათნოების სახლის გაერთიანების“ დირექტორს ილია კუჭუაშვილს ბიძაშვილის

ნუკრი კუჭუაშვილის

გარდაცვალების გამო.

აიპ „საგარეჯოს სათნოების სახლი №2-ის“ ადმინისტრატორი დალი როსტომაშვილი და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე აიპ „საგარეჯოს სათნოების სახლის გაერთიანების“ დირექტორს ილია კუჭუაშვილს და მის ძმას თამაზ კუჭუაშვილს ბიძაშვილის

ნუკრი კუჭუაშვილის

გარდაცვალების გამო.

მადლიერება

პატრიოტები

რაც მოხდა თბილისში 13 ივნისის ცივ ღამეს, ეს იყო ტრაგედია მთელი საქართველოსათვის. ბუნების წარღვნასთან ვერელთა ჭიდილი, ეს იყო ტკივილი მთელი საქართველოსათვის.

იღუპებოდა ხალხი, ეკრანზე ვხედავდით, ჩვენ შველა არ შეგვეძლო არავის, მაგრამ, რაც ჩვენ ვნახეთ შემდეგ ეპიზოდში, წარმოდგენა არ გვქონდა არავის.

თითქოს ღმერთმა გადმოგვხედა
ქართველებს.
გამოჩნდნენ ნამდვილი ქართველები,
გულმა გაიხარა და იმედი ჩაგვისახა,
როდესაც ვიხილეთ პატრიოტი
ქართველები.
ძლიერ განვიცდიდით ქართველთა
ტკივილებს,
უძლურნი ვიყავით მხილველნი
ქართველები.
იმედი ჩაგვისახეს პატრიოტმა
ქართველებმა,
ო, ღმერთო გაგვიმრავლე ასეთი
ქართველები.
სასწაულია, აბა რა დავარქვათ,
რომ გვყვანან ასეთი გოგონები და
ბიჭები,
რა შემართებით ებრძოდნენ სტიქიას,
გვიმრავლოს ასეთი გოგონები და
ბიჭები.
იდიდე საქართველო, ნურაფრის გეშინია,
იმედი ჩაგვისახეს ამ წმინდა
ქართველებმა,
არ გაგვიჭირდება არასდროს
საქართველოვ,
როდესაც გვყვანან პატრიოტი
ქართველები.
ო... ღმერთო გვიმრავლე, გვიმრავლე,
გვიმრავლე,
გვიმრავლე ასეთი ქართველები.

იური მანჩხაშვილი
საგარეჯო,
აფხაზეთიდან ლტოლვილი

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com

რედაქტორი:
თინათინ ილაური